საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე უარის თქმის შესახებ

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ნ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.01.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №004/23

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ი. შ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. შ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 30 იანვარს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. შ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო 2023 წლის 15 თებერვლის საპროცესო კოლეგიის დისტანციურ სხდომაში. მომჩივანს პრეტენზია აქვს პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატის, ი. შ.-ს მიმართ. როგორც საჩივრის ავტორი განმარტავს, ის და გ. დ. არიან ყოფილი მეუღლეები. მათ ერთად ცხოვრების პერიოდში ხშირად ჰქონდათ კონფლიქტი, კერძოდ, გ. დ. სისტემატიურად ძალადობდა ცოლზე. 2018 წელს გ. დ.-ს ოჯახური ძალადობის განხორციელების გამო სასჯელის ზომად განესაზღვა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით.

1.3 მომჩივანის განცხადებით, 2022 წელს გ. დ. მასთან თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი საცხოვრებელი ბინა საჩუქრად გადასცა ვინმე მ. ი.-ის, ისე რომ ქონების გაყოფა მათ შორის არ მომხდარა. 2022 წლის 26 ივლისს მ. ი.-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ნ. გ.-ს, ზ. დ.-ის და ნ. დ,-ის უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვა. აღნიშნულ საქმეში მ. ი.-ის ინტერესებს იცავდა ადვოკატი - ი. შ..

1.4 თბილისის საქალაქო სასამართლოში 2023 წლის 17 იანვარს გაიმართა სასამართლო სხდომა, ნ. გ.-სა და მ. ი.-ის შორის ქონებრივ დავასთან დაკავშირებით. ადვოკატმა ი. შ.-მ სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას ხმამაღლა მიმართა ნ. გ.-ს შემდეგი სიტყვებით: „შენ ქმარი დააჭერინე“, „ედავა ვინ უშლიდა“, რითაც ფსიქოლოგიურად იძალადა ნ. გ.-ს მიმართ და დაარღვია მისი, როგორც ოჯახური ძალადობის მსხვერპლის და შესაბამისად დაზარალებულად ცნობილის უფლებები. ნ. გ. აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ მისი დადანაშაულება ოჯახური ძალადობის აღნიშნულ კონტექსტში, მისი ღირსებისა და პატივის შემლახველი ქმედებაა.

1.5 ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატის დისციპლინირებას და მისთვის მიყენებული მორალური ზიანის სანაცვლოდ 5 000 ლარის ოდენობბით ზიანის ანაზღაურებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2023 წლის 09 თებერვალს, ადვოკატმა ი. შ.-მ წარმოადგენდა წერილობით ახსნა-განმარტება, ხოლო 2023 წლის 15 თებერვალს მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის დისტანციურ სხდომაში. ადვოკატის განმარტებით, ქონებრივ დავასთან დაკავშირდებით მიმდინარე სასამართლო პროცესიში ის იცავდა მოსარჩელე, მ. ი.-ის ინტერესებს, რომლის პროცესუალური მოწინააღმდეგეები იყვნენ მოპასუხეები, ნ. გ., ზ. დ. და ნ. დ..

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2023 წლის 17 იანვრის სხდომაზე ნ. გ. საუბრობდა, ოჯახური ძალადობის ფაქტზე, მოძალადედ მოიხსენიებდა საკუთარ ყოფილ ქმარს, არ ერიდებოდა თავად მოსარჩელესა და ადვოკატის შეურაცყოფას და მ. ი.-ის თავის ყოფილ ქმართან ერთად, რომლის მიმართაც დადგენილია გამამტყუვნებელი განაჩენი, მოიხსენიებდა მოძალადედ.

2.3 მოპასუხე ადვოკატი არ უარყოფს, მომჩივანის მიერ დასახელებული სადავო ფრაზით მიმართვის ფაქტს, თუმცა აქვე განმარტავს, რომ მითითებული ფრაზები კონტექსტიდან ამოღებულად არის მომჩივანის მიერ წარმოდგენილი. ადვოკატის განმარტებით, მიმართვის მიზანი იყო იმის ხაზგასმა, რომ გ. დ. დაუსჯელი არ დარჩენილა, მის მიმართ შესაბამისი განაჩენი იქნა გამოტანილი და ნ. გ.-ს სასრგებლოდ აღსრულდა კანონი, ხოლო მ. ი.-ის ბრალი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშრებით არ

მიუძღვის და მიმდინარე დავასთან დაკავშირებით, მომჩივანის მიერ მოხმობილ ფატები არარელევანტური იყო.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. შ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 მოქალაქე ნ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 30 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ი. შ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორების პრეტენზიით, ადვოკატმა ი. შ.-მ მოპასუხე მხარეს - ნ. გ.-ს, თბილისის საქალაქო სასამართლოს პროცესზე 2023 წლის 17 იანვარს ხმამაღლა მიმართა შემდეგი სიტყვებით: „თქვენ და თქვენმა შვილებმა ქმარი დააჭერინეთ და ახლა აქ როლს თამაშობთ“.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ი. შ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი,მე-5 მუხლის “გ“ ქვეპუნქტი).

ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი).

5.3 ადვოკატი, პროფესიის თვით რეგულირებიდან და მისი კორპორაციული არსიდან გამომდინარე ვალდებულია, საკუთარი ქცევით ხელი შეუწყოს პროფესიის პრესტიჟს, აღნიშნულის მისაღწევად უპირატესად გასათვალისწინებელია ადვოკატთა შორის ურთიერთპატივისცემა. ადვოკატი ვალდებულია შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულა).

5.4 ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. კლიენტის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, ადვოკატის ნებისმიერი ქმედება, იქნება ეს პირის წარმომადგენლობა სასამართლოში; სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა; წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან თუ კლიენტის მოპასუხე მხარესთან მოლაპარაკების წარმოება - წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი). ადვოკატის საქმიანობა მოიცავს კლიენტისადმი არსებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად და კანონმდებლობის ფარგლებში შესრულებას.

5.5 საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით, გარანტირებულია აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და ის შეიძლება შეიზღუდოს, დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერი მიზნების მისაღწევად - სხვათა ღირსებისა და პატივისცემის ვალდებულების დასაცავად. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა, ადვოკატის შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების უფლების მოქმედება განხილული უნდა იყოს ადვოკატის პროფესიული რეპუტაციისა და საერთო კორპორაციული ინტერესების უზრუნველყოფად არსებულ მის ვალდებულებებსა და ადვოკატის, როგორც კლიენტის უფლებადამცველის უფლებებთან თანადროულად. შესაბამისად, ადვოკატის მხრიდან პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულების დარღვევის შეფასებისას გასათვალისწინებელია, როგორც, ადვოკატის - მართლმსაჯულების განმახორციელებელი პროფესიის წარმომადგენლის ვალდებულებები, ასევე მისი გამოხატვის თავისუფლების უფლება და კლიენტის ინტერესების დაცვისას მოქმედი მისი, როგორც ადვოკატის „იმუნიტეტი“ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

5.6 ადვოკატმა ნებისმიერი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას განუხრელად და ზედმიწევნით, უნდა დაიცვას როგორც თავისი კლიენტის ინტერესები და უფლებები, ასევე პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის, უპირველესად მოწინააღმდეგე მხარეს. ადვოკატის უმთავრესი მოვალეობაა, ნებისმიერ გარემოებაში შეინარჩუნოს სიმშვიდე, პროფესიული ღირსება, იყოს გაწონასწორებული და არ უპასუხოს მისი მისამართით, მოწინააღმდეგე მხარის, ან პროცეში მონაწილე სხვა პირის გაკეთებულ პროვოკაციულ, დამამცირებელ განცხადებებს და პატივი სცეს თავის პროფესიულ საქმიანობას.

5.7 კოლეგია განმარტავს, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა გულისხმობს სხვა ადამიანის დამცირების, პატივისა და ღირსების შელახვისკენ მიმართულ, ზეპირი ფორმით გამოხატულ უხამს განცხადებას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ხშირ შემთხვევაში, პიროვნებისთვის სუბიექტური თვალსაზრისით „მორალური ტანჯვის გამომწვევი“ განცხადებები, შესაძლებელია ობიექტურად არ იყოს შეურაცხყმყოფელი ხასიათის და არ შეიცავდეს უხამსობას ანდა ცილისმწამებლურ ფატქტებს და ჯდებოდეს კანონით დაცულ გამოხატვის თავისუფლების უფლებაში. ამავდროულად, ადვოკატის მიერ საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვისას, გამოხატვის თავისუფლების

კონტექსტში, ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადებების შეფასებისას აუცილებლად გასათალისწინებელია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი გათვალისწინებული ადვოკატის დაცვის გარანტიები, რომლის მიხედვითაც ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, აქვე უნდა განიმარტოს, რომ ამავე კანონის მე-6 მუხლით არაკანონიერი ან არაეთიკური საშუალებებით კლიენტის დაცვის დროს ადვოკატის „იმუნიტეტი" ვერ იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება.

5.8 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z.v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა".

5.9 ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატ ი. შ.-ს მიერ გაკეთებული განცხადება თავისი შინაარსით, ფორმითა და კონტექსტით, შეფასდეს, როგორც პროფესიული ვალდებულებების გათვალისწინებით, ასევე გამოხატვის თავისუფლებისა და ადვოკატის, როგორც უფლებადამცველის უფლების გათვალისწინებით, რათა დისციპლინური წარმოების პროცესში დაცული იყოს ადვოკატის როგორც პროფესიული, ასევე სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები.

5.10 საპროცესო კოლეგია აქვე განმარტავს, რომ ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ადვოკატის მიერ, თავის კლიენტთან შეთანხმებული დაცვის სტრატეგიის სისწორე თუ შედეგუნარიანობა, მიუხედავად იმისა, ის სუბიექტურად, პროცესუალურად დაპირისპირებული მხარისთვის, მიუღებელია თუ არა. ამასთან, კოლეგიის კომპეტენციას არ მეუკთვნება დაადგინოს, ადვოკატის ქმედებით შეილახა თუ არა პირის პატივი და ღირსება. პიროვნული უფლებების ხელყოფის ფაქტის დადგენა და მისი რესტიტუციის საშუალებების განსაზღვრა, სამოქალაქო სამართლებრივი საკითხია და განეკუთნება საერთო სასამართლოების კომპეტენციას. ეთიკის კომისია, ადვოკატის ქმედებების პროფესიულ ეთიკასთან შესაბამისობას ამოწმებს, რა დროსაც ხელმძღვანელობს ადვოკატის ქმედებებით და არ იჭრება სასამართლოს კომპეტენციაში. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კოლეგიამ მხოლოდ, მომჩივანის პრეტენზიის გათვალისწინებით, პროფესიულ ეთიკის ნორმებთან შესაბამისობის კუთხით შეისწავლა ადვოკატის მიერ დასახული დაცვის სტრატეგია და ყურადღება გაამახვილა საჩივრის ავტორის მიერ დასახელებულ იმ სიტყვათწყობაზე, რომლებმაც მისი განმარტებით შეურაცხჰყო მისი პატივი და ღირსება.

5.11 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, თბილისის საქალაქო სასამართლოში, სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა მის მიმართ შეურაცხყოფა გამოხატა შემდეგი სიტყვებით: „თქვენ და თქვენმა შვილებმა ქმარი დააჭერინეთ და აქ როლს თამაშობთ" აღნიშნული ფრაზის გამოყენებას სადვოდ არ ხდის ადვოკატი ი. შ. და განმარტავს, რომ მისი მიზანი იყო იმის ხაზგასმა, რომ გ. დ. დაუსჯელი არ დარჩა და მის მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ამასთან, ის აქვე განმარტავს, რომ ნ. გ.-

ს მიმართ სიტყვიერი შეურაცყოფის მიყენების მიზანი არ ჰქონია. საპროცესო კოლეგია გაეცნო განცხადებას და მისი შეფასებისას ყურადღება გაამახვილა თითოეულ პრობლემურ ფრაზეოლოგიათა გამოხატვის ფორმასა და მიზანზე.

5.12 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადება - „თქვენ და თქვენმა შვილებმა ქმარი დააჭერინეთ და აქ როლს თამაშობთ“, მიუხედავად იმისა, რომ ის შესაძლებელია არ იყო მისაღები საჩივრის ავტორისთვის, ადვოკატის მიერ გამოყენებული ფრაზის შინაარსისა და ფორმის გათვალისწინებით, ჯდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, რადგან არ წარმოადგენს უხამსობას და არ სცდება პროცესის მონაწილის კრიტიკის დასაშვებ ფარგლებს. ამის პარალელურად ი. შ.-ს, როგორც ადვოკატს, არათუ უფლება ჰქონდა, არამედ ეკისრებოდა ვალდებულება, კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიის ფარგლებში, ემოქმედა საკუთარი მარწმუნებლის ინტერესების დაცვის მიზნით, ხოლო თავის მხრივ, მაშინ, როდესაც ადვოკატ ი. შ.-ს მიერ გაკეთებული განცხადება, ობიექტური თვალსაზრისით არ იყო უხამსი ფორმითა და შეურაცხმყოფელი შინაარსით გაკეთებული, კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმებული სტრატეგიის სისწორეს და ვერ ჩაერევა ადვოკატის პროფესიულ დამოუკიდებლობაში.

5.13 ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებებითა და მხარეთა განმარტებებით არ დგინდება ადვოკატ ი. შ.-ს მხრიდან საჩივრის ავტორის ნ. გ.-ს მიმართ გამოხატული კომუნიკაციის ისეთი ფორმა, რომელსაც შეეძლო პროცესის მონაწილის კანონის დაცვის ღირსი ინტერესებისა და უფლებების შელახვა გამოეწვია. მოწინააღმდეგე მხარისათვის არასასურველი განცხადება, რომელიც ობიექტური თვალსაზრისით არ წარმოდგენს უხამის ფორმით ფორმულირებულ მიმართვას და არ შეიცავს ცილისმწამებლურ შინაარს, არ შეიძლება განიმარტოს, ადვოკატის მხრიდან პროცესის მონაწილის შეურაცხყოფად.

5.14 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატ ი. შ.-ს მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა „გ“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლისა მე-4 პუნქტის დარღვევა და ადვოკატ ი. შ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.15 რაც შეეხება საჩივრის ავტორის მოთხოვნას, ადვოკატისთვის, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 5 000 ლარის დაკისრების თაობაზე, კოლეგია განმარტავს, რომ ის მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს მხარეთა შორის სამოქალაქო სამართლებრივი უფლებებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების საკითხი, მომჩივანის პრეტენზიის განხილვა და მისი გადაწყვეტა საერთო სასამართლოების კომპეტენციას განეკუთნება და კოლეგია ვერ შევა მომჩივანის აღნიშნული პრეტენზიის კვლევაში.

5.16 საპროცესო კოლეგია, აქვე განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილი ფაქტი კოლეგიამ გადაცდომად არ შეაფასა, კვალიციფიური მომსახურების გაწევის სტანდარტი, ოჯახური ძალადობის გამო მსხვერპლის სტატუსის მქონე, პროცესის მონაწილის მიმართ, ზოგადად ადვოკატებისაგან მოითხოვს ქცევის მართვასა და მაღალ გულისხმიერებას,

მსგავსი მდგომარეობის მქონე პირებთან კომუნიკაციისას ადვოკატი იყოს მეტად ფრთხილი და ემპათიური.

5.17 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს 32–ე, 33–ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.2, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №004/23 ადვოკატ ი. შ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/